რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 17 ივნისი 1917 წ.

147

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძ.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 74 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 74

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ტრაგიკულად გარდაცვალებას მისი ნამდვილი წევრის

ვლადიმერ იაკობის ძე ჩიმაკაძის

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა რუხაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

კოსტანტინე იაგორის ძე რუხაძის

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება 18 ივნისს, დღით კვირას 12 საათზე. ქ. ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში. (2—1)

კვირას 18 ივნისს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ხარკოვში ტრაგიკულად გარდაცვლილ სტუდენტ მედიკ

დიმიტრი გარაგის ძე თეთრაძის

მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ მეგობართ გულმოკლულნი მშობლები გარამ დიმიტრის ძე, და დარია მიხეილის ასული. დები თამარა, მარინე, ნინა, ქეთევან და სიძე ზაქარია გიორგის ძე ჯავახიშვილი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„სოციალ-დემოკრატ"-ზე

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მან., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კ. და საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ", Тутку Гварамія. სხვა ადრესით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

კვირას, 18 ივნისს, საოლქო არსენალში მოსამსახურეთა სცენის მოყვარეთა წრე მართავს

წარმოდგენას

არსენალის შენობაში.

თფ. ორგან. მეორე რაიონის კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. სასარგებლოთ.

ამხანაგებს სთხოვენ მობრძანდნენ. ბილეთები იყიდება არსენალში, თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. დაწვრილებით აფიშებში.

აკეთის საზოგადოების სოფ. ჯანჯათის (გურია) მცხოვრები

ვლადიმერ სიოს ძე ჩიჩუა

15—16 წლისა. ერთი კვირაა დაიკარგა. ვინც კი იცით სად არის ზემო აღნიშნული პირი გთხოვთ მაცნობოთ „ერთობის" რედაქციაში, ზ. ჩიჩუას.

განცხადება.

სოფ. შუა და ზემო ამაღლებაში (გურია) გაიხსნა

სილიბისტრო ჯიბლაძის სახელობაზე უფასო

წიგნთსაცავ სამკითხველო.

შემოწირულება მიიღება: Мест. Чохатаури Владиміру Джибути для библіотеки.

3—2 წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა.

საარჩევნო ბიურო მე-8 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია პანახოვის ქუჩა № 38, მეორე კომერციულ სასწავლებელში. ღია 2—10 საათამდე. ბიურო ხელმძღვანელობს მთელ ჩუღურეთს.

რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-9 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქუჩა № 31) ტელეფონი 16—29. ყველა ის პირნი, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში ვთხოვთ გამოცხადდნენ ჩასაწერათ საარჩევნო ბიუროში (რეუტოვის ქუჩა) ამხ. ლაბაურთან.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-10 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მიხაილოვის ქუჩაზედ № 102, ეზოში (ქართული წრის კანტორაში) და ავჭალის არდიტორიაში, სადაც შეიძლება, გამორჩენილი წევრების ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

ჟურნალი „სხივი"

ქაღ. უქონლობის და ასოთ-ამწყობების ნაკლებობის გამო ჟურ. „სხივი"ს გამოცემა შეწყდა. გამომცემლობა სთხოვს ხელის მომწერთ გვაცნობონ თავის სურვილი—უკან დავუბრუნოთ ფული თუ სხვა რომელიმე გამოცემა გამოვუწეროთ. კანტორა „განათლება".

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიუროში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) სოციალ-დემოკრატია და ქალაქის თვითმართველობა რუსულ ენაზე 20 კაპ.
2) პროგრამა. რ. ს.-დ. მ. პ. რუსულ, ქართულ და თათრულ ენაზე თითო 10 კაპ.
3) საყოველთაო საარჩევნო უფლება რუსულ ენაზე . . . 15 კაპ.
4) მუნიციპალური პლატფორმა რუსულ და ქართულ ენაზე თითო . 5 კაპ.
5) ძირს სოციალ-დემოკრატია რუსულ ენაზე . . . . 20 კაპ.
6) აგრარული პროგრამა. კრიტიკა რუსულ ენაზე . . . . 15 კაპ.

ფინჯანი ჩაი

სახალხო ბაღში

შაბათს, 17 ივნისს, 1917 წ. შესდგება

დიდი კონცერტი

ვერტინსკის მონაწილეობით.

დაწვრილებით აფიშებში.

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

ჭრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწდომია ყველასთვის. ღარიბები [illegible]. აქვე მიიღება შესაკერავათ კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—8)

ექიმი კ. ი. ვარჯელაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]ნაშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გ. გ. მეჯრაბიანი

შინაგან ავათმყოფობა შლეგისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გაშუქება და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ შლეგის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible], —[illegible]. დიდი [illegible] [illegible] და არსენვალის [illegible] ავადმყოფობისთვის, გულისთვის, [illegible] და აგრეთვე მიდამოს [illegible], სისხლ ნაკლებობის, [illegible], ნევრასთენიისთვის. [illegible] ავათმყოფობი[illegible], [illegible], და [illegible]. დილით 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 23. ტელეფონი 7—93.

ექიმი მ. ზ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი.

ექიმ ბ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე. პუშკინის ქუჩა, ციტუშინსკის სახლი.

თფილისის საქონლის სადგურის ხელის მომწერლების საყურადღებოთ.

ვისაც გაზეთის ფული არ შემოგიტანიათ, გთხოვთ დაუყონებლივ შემოიტანოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის მიღება შეწყდება და მასთან აღვნიშნავთ სახელსა და გვარს გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით **ხ. ლ. ჩიგოგიძე.**

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.
2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.
3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.
4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და ხ—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ომის საკითხი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობაზე.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების დელეგატთა ყრილობამ პეტროგრადში ომის საკითხს მიუდგა და შესაფერი რეზოლიუციაც გამოიტანა.

აქ გამოტანილ რეზოლიუციას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დასახელებულ ყრილობაზე თავი მოიყარა რევოლიუციონურ კლასებისა და რევოლიუციონურ ორგანოების წარმომადგენლებმა. მათ ავტორიტეტულ დადგენილებას ფართო მასისთვის სახელმძღვანელო პრინციპის ხასიათი ექნება და ანარქისტულ ჯგუფების „ულტრა რევოლიუციონურ" გამოსვლებს ასე თუ ისე საზღვარი დაედება.

ერთი რამ არის საყურადღებო. პეტროგრადის რევოლიუციონურ ორგანოების ყრილობამ აშკარათ აღნიშნა, რომ ზოგიერთა ბოლშევიკების ომზე და ზავზე შეხედულება მიუღებელია და ლენინის გზით ზავის ჩამოგდება მოუხერხებელი საქმეა.

ჯგუფურ და დეზორგანიზაციულ გამოსვლების მაგიერ ყრილობამ საერთაშორისო ორგანიზაციული გზა აირჩია და ეს გზა გაიხადა სამოქმედო ასპარეზათ. რეზოლიუციაში შემდეგია ნათქვამი: ომის საჩქაროთ გათავება რევოლიუციური დემოკრატიის მორიგი საკითხია და ამას ესწრაფვის მეომარი და ნეიტრალური სახელმწიფოების მშრომელი ხალხი. ამიტომ ყრილობა აღიარებს, რომ ომის გათავება ერთი რომელისამე მხარის დამარცხებით იქნებოდა საბაბი ახალი ომისა. სეპარატიული ზავი გააძლიერებს, რომელისამე მებრძოლ მხარეს, მისცემს საშუალებას გამარჯვებისას და იმპერიალისტური მადის გაღვიძებისას. სეპარატიული ზავი ვერ გაანთავისუფლებს რუსეთს იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან. ამიტომ ყრილობა გადაჭრით უარყოფს სეპარატიულ ზავს—ან დროებით შეროგებას. რადგან ომის გათავება და ზავის ჩამოგდება მხოლოდ საერთო ძალებით შეიძლება—ამიტომ რუსეთის დემოკრატია მიმართავს სხვა ქვეყნების დემოკრატიას მოწოდებით და აღიარებს ლოზუნგს: „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო—ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული", აგრეთვე ცდილობს რაც შეიძლება ჩქარა მოიწვიოს რევოლიუციონური ინტერნაციონალი. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მთავრობამ მიიღოს ზომები, რათა გადასინჯულ იქნას მოკავშირეთა ხელშეკრულებანი, ვიდრე ზავი არ მოახლოებულა რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია მოვალეა გააძლიეროს ჯარის ძლიერება. საკითხი შეტევისა უნდა გადასწყდეს წმინდა სამხედრო, სტრატეგიული მოსაზრებათა მიხედვით.

ყრილობის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა მთელს რუსეთში მოეწყოს მშვიდობიანი მანიფესტაციები უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის სასარგებლოთ, რაც კრების მიერ ერთხმათ იქნა მიღებული.

აშკარაა—რუსეთის რევოლიუციონური ორგანოების დელეგატებმა თავიანთ ყრილობაზე ზავის საკითხი, ომის გათავების საქმე ფართო საერთაშორისო დემოკრატიის ნიადაგზე დააყენა და მისი უარყოფა არავის არ ძალუძს, გარდა ზოგიერთა ანარქისტებისა და უპასუხისმგებლო პირებისა. მსოფლიო ომი მსოფლიო მაშტაბით დაიწყო და მისი საერთაშორისო დემოკრატიის სასარგებლოთ გადაწყვეტა ინტერნაციონალურ დემოკრატიის ნიადაგზე უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ქვეყნის იმპერიალისტები გაიმარჯვებენ და ზავის ჩამოგდებას თავისი ინტერესების სასარგებლოთ მოაწყობენ.

იმპერიალისტებს ერთი მიზანი აქვთ დასახული: რაც შეიძლება ომი გააგრძელიონ და ამ გახანგრძლივებაში მოწინააღმდეგე დაასუსტონ და იგი იძულებული გახადონ დათმობის გზას დაადგეს. მაგრამ ასეთი დათმობა რომელიმე სახელმწიფოს დემოკრატიისათვის და მასთან ერთად საერთაშორისო მშრომელი კლასისათვის საზარალოა.

აქ ეჭვს გარეშე წინააღმდეგი გამოვა და უნდა გამოვიდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასი და გაღატაკებული ფართო მასა.

უკანასკნელი ომის გაგრძელებით არაფერს მოიგებს, პირიქით იგი ნივთიერად, ფიზიკურად და კულტურულად ნადგურდება და განსაცდელში ვარდება. მაშასადამე ნიადაგი მომზადებულია, შეხედულება საერთოა. მხოლოდ საჭიროა ორგანიზაციული მუშაობა, შეთანხმებული მოქმედება. ასეთი გზა რუსეთის რევოლიუციონურმა კლასებმა უკვე თავის რეზოლიუციაში აღიარეს და იმედია მას ყველანი სამოქმედო ინსტრუქციათ გაიხდის. რეზოლიუცია გამოტანილია, ყველა რევოლიუციონური ჯგუფების და ფრაქციის მიმდევრები მოვალენი არიან დადგენილებას დაემორჩილონ და ამით რევოლიუციონური მოვალეობა პირნათლად შეასრულონ. წინააღმდეგი მოქმედება არა მარქსისტულია—ანარქისტულია. ვინც ამ გამოტანილ რეზოლიუციას არ დაემორჩილება—იგი არ ემორჩილება რევოლიუციონურ კლასების ნება-სურვილებს.

სახელმწიფო დუმა კონტრ-რევოლიუციონერების ორგანოა.

სახელმწიფო დუმა რუსეთის გაბატონებული კლასების კონტრ-რევოლიუციის ორგანოთ გადაიქცა.

დიდმა რევოლიუციამ თითქმის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებში შეაშფოთა, ძველი სისტემით საქმის წარმოება გააუქმა და ახალი რეჟიმი განამტკიცა. მაგრამ ასეთ გავლენას არ ექვემდებარება სახელმწიფო დუმა და მისი შემადგენლობა.

მაშინ, როცა მთელი რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოთა დელეგატების ყრილობაზე შეკრებულა და მეტათ დიდ და საყურადღებო საკითხებს სწყვეტს—სწორეთ ამ დროს როძიანკოს კაბინეტში სახელმწიფო დუმის წევრებს თავი მოუყრიათ და იმავე საკითხებზე ბჭობენ, რა საკითხებსაც არჩევს ზევით დასახელებული რევოლიუციონურ ორგანოების ყრილობა.

იმ დროს, როცა რევოლიუციონურ ორგანოების წარმომადგენელთა ყრილობაზე ყოფილი დუმის კატორღიდან დაბრუნებული დეპუტატები და საუკეთესო ხალხის გულშემატკივრები რუსეთისა და საერთაშორისო დემოკრატიის ბედზე ლაპარაკობენ, ამ დროს სამ ივნისის რეაქციონური დუმის წარმომადგენლები შეკრებილან, სწორეთ ისინი, რომლებიც მთელი ათი წლის განმავლობაში ყოფილ მეფის ტახტს ეფიცებოდენ, მის ჯალათების მუხლებს ემთხვეოდენ და რუსეთის დემოკრატიის წინაღმდეგ გამოუყიდველ ცოდვას ჩადიოდენ და თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ საქმეებს აწყობენ, სწორეთ ის სახელმწიფო დუმის, რომელმაც რევოლიუციის პირველ დღეებში საკმარისი რევოლიუციონური როლი ითამაშა, ამ ჟამთ რეაქციის ნავსაყუდლათ გადაიქცა.

მან თავისი მისია უკვე შეასრულა, „მავრმა თავისი საქმე გააკეთა“ და ეს ძალიან კარგად უნდა იცოდეს დუმის თავმჯდომარემ როძიანკომ და ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლებმა—მილიუკოვ-მაკლაკოვ-გუჩკოვებმა.

მაგრამ ისინი ძველი ბატონობის ორგანოს არ სცილდებიან და აქ იყრიან თავს სახელმწიფოებრივი საქმეების „მოწესრიგების“ შესახებ.

დუმის თავმჯდომარემ როძიანკომ დუმის წევრებს წერილობით მიმართა და დეპუტატებს მოუწოდებს, რომ ისინი პეტროგრადიდან არ წავიდნენ. გარდა ამისა ისინი იკრიბებიან და დროებითი მთავრობის მოქმედებებს, რევოლიუციონურ ორგანოების, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების [illegible] და ხშირად [illegible] გამოაქვთ ამა თუ იმ [illegible] გამო.

რუსეთის დემოკრატია ასეთ არქაულ და რეაქციონურ დაწესებულების სასტიკი წინააღმდეგია, მას არსებულ პირობებში არავითარი ადგილი არ აქვს. და თუ ის მაინც არსებობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ის გაუქმებულ დაწესებულებათ გამოაცხადოს და მით ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანოს არსებობა მოუსპოს.

დეპეშები.

(პ. დ. ს.)

(პეტ. დეპ. სააგ. 13—14 ივნისი).

დელეგატების გაგზავნა.

პეტროგრადი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ახლო მომავალში გაგზავნოს დელეგატები სტოკჰოლმში, საფრანგეთში, და ინგლისში საჩქაროთ მოწვეულ იქნას აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებულ პლატფორმაზე დამყარებული საერთაშორისო კონფერენცია.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ იმ აფიცრებს, რომლებიც პოლიტიკურ რწმენისთვის დათხოვნილ იყვნენ სამსახურიდან და შემდეგ ამნისტიით უფლება დაუბრუნეს, ჩაეთვალოთ სამსახურში ის დრო, რომელიც მათ სამსახურს გარეშე გაატარეს.

აგრარული მოძრაობის შეწყვეტა.

მინსკი. სასოფლო მიწების კომიტეტების წყალობით აგრარული მოძრაობა თითქმის შეწყდა. ეს ცვლილება [illegible] ხდება. კომიტეტები აურებელ სადაო კითხვებს სწყვეტენ როგორც გლეხებსა და მემამულეებსა ისე გლეხებ შორის.

ბოლშევიკები ჯარში.

დონის როსტოვი. ადგილობრივ გარნიზონის ჯარებში ბოლშევიკების აგიტაციამ [illegible] და უკიდურესი აღელვება გამოიწვია იმ ბრძანების გამო, რომლითაც ერთი პოლკი ფრონტზე იგზავნება. ხმები გავრცელდა, რომ ადგილობრივ ერთი პოლკის მაგიერ ყაზახები უნდა დააყენონო. ბოლშევიკებმა მოედანზე ჯარისკაცების მიტინგი გამართეს და აღელვებული სიტყვები წარმოსთქვეს. სხვა ორატორების სიტყვებს არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ. ერთი მათგანი დაიჭირეს. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, გაეგზავნოს კერენსკისთან ორი დელეგატი იმის გამოსარკვევათ მართლა გასცა მან ასეთი ბრძანება თუ არა. თუ მართლა ასეთი ბრძანება გასცა ის უნდა გაუქმდეს. შემდეგ ბრბო გაემართა დეპუტატების საბჭოში და მოითხოვა პოლკის ყველა კომიტეტებთან ერთად საჩქაროთ განეხილა საკითხი.

ესპანიაში მოძრაობა იწყება.

მადრიდი გამოცხადდა მინისტრთა საბჭოს ოფიციალური ცნობა, სადაც ნათქვამია: სხვადასხვა პროვინციებში პროპაგანდას ეწევიან არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთები სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინაღმდეგ და სოციალისტურ წესწყობილების შესახებ წერილებს ბეჭდავენ, რაიც არღვევს სამხედრო დისციპლინას. ამიტომ მინისტრთა საბჭომ საჭიროთ დაინახა მოეხდინა განკარგულება კონსტიტუციონურ გარანტიის გაუქმების შესახებ. გაზეთების რედაქტორებს მოუწოდეს და გამოუცხადეს, რომ შემოიღეს წინაწარი ცენზურა.

პოლკის კომიტეტების დადგენილება.

პეტროგრადი. პოლკების და ბატალიონების კომიტეტების საერთო კრებაზე განიხილეს 10 ივნისის ამბავი და დაადგინეს, რომ ქუჩაში ჯარის სამანიფესტაციოთ გამოყვანის უფლება მხოლოდ დეპუტატთა საბჭოს აქვს. თვითეულ ჯარის კაცს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა იმ მანიფესტაციაში, რომლის მოწყობა გაგებული აქვს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. როტის და პოლკის კომიტეტებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ კერძო ჯარის კაცებმა იარაღი არ გაიტაცონ სადემონსტრაციოთ გამოსვლის დროს. ამასთან კრებამ აღიარა, რომ იმ ორგანიზაციის მოქმედება, რომელსაც განზრახვა ჰქონდა 10 ივნისს დემონსტრაცია მოეხდინა, პირდაპირ კონტრ რევოლიუციის ხელის შეწყობა იქნებოდა და რევოლიუციის ძალთა დეზორგანიზაციას მოახდენდა.

კანონპროექტი ებრაელთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ.

ჰელსინგფორსი. სეიმმა მიიღო კანონპროექტი ფინლიანდიაში ებრაელთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ. სეიმმა ნებართვა სთხოვა დროებით მთავრობას სეიმის სესია ორი თვით კიდევ გააგრძელოს.

საზომი გაზეთებისთვის.

პეტროგრადი. რადგან ჯერ კიდევ ქაღალდის უქონლობაა, ამიტომ დროებ. მთავრობამ დაადგინა მიიღოს ერთგვარი საზომი გაზეთებისთვის. დილის გაზეთები უნდა იყოს 25 სვეტი, ხოლო საღამოს 15. ამ წესებს არ ექვემდებარებიან „დროებით მთავრობის უწყებები“ და „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“. იმ გაზეთებს, რომლებიც 25 სვეტზე ნაკლები გამოდის, უფლება არ აქვს მოუმატოს ზომას. ვინც ამ წესებს დაარღვევს ერთ წლამდე სატუსაღოში ჩასვამენ.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვა.

ტოკიო. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც სხვათა შორის რუსეთის შესახებ სთქვა, რომ იაპონიამ იცნო რუსეთის დროებითი მთავრობა, მასთან ამ ათი წლის განმავლობაში მჭიდრო კავშირი განმტკიცდა და მიუხედავათ იმის თუ რა სახის წეს-წყობილება დამყარდება რუსეთში, ეს კავშირი დაურღვეველი დარჩება.

უკრაინის ავტონომიის საკითხი.

პეტროგრადი. იურიდიულმა თათბირმა განიხილა უკრაინის ცენტრალურ რადის მიერ წამოყენებული მოთხოვნა და ის აზრი გამოსთქვა, რომ დროებით მთავრობას უფლება არა აქვს უკრაინის ავტონომიის შესახებ საკითხი გადასჭრას, ეს მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია. უკრაინის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობაზე თათბირმა უარი განუცხადა, რადგან ამ კონფერენციაზე სახელმწიფოები იქნებიან წარმოდგენილნი და არა ცალკე ერები, ცალკე ჯარების შედგენა თათბირის აზრით სამხედრო მინისტრის საქმეა. თათბირმა უარჰყო აგრეთვე უკრაინელთა სკოლების ნაციონალიზაცია. თათბირმა სცნო აგრეთვე, რომ უკრაინის კულტურულ ნაციონალურ საჭიროებისათვის საშუალება ადგილობრივ თვითმართველობებმა უნდა გაიღონ და არა სახელმწიფომ.

მაგარ სასმელების აკრძალვა.

პარიზი. შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა რესტორნებში და ბუფეტებში მაგარ სასმელების ხმარება. ნება დართულია მხოლოდ საუზმისა და სადილის დროს. 18 წლისაზე ნაკლებ ქალებს სრულიად ეკრძალებათ სასმელების გაყიდვა. აკრძალულია ღვინო, სიდრი, თაფლი და ლიკიორი.

საგანგებო საარჩევნო თათბირი.

პეტროგრადი დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ საგანგებო საარჩევნო თათბირის კრებაზე 14 ივნისს თავმჯდომარე კოკოშკინმა შეატყობინა თათბირს, რომ დროებითი მთავრობა თხოულობს დღესვე შეატყობინონ როდის იქნება მოწვეული დამფუძნებელი კრება და როდის დაიწყებს მოქმედებას. ამ მიზნით გესენის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისიას მიანდვეს საჩქაროთ განეხილა ეს საკითხი. კომისიამ იხელმძღვანელა ტეხნიკურ მოსაზრებით და ფიქრობს, რომ დამფუძნებელ კრების მოსაწვევ საარჩევნო კომპანიის დაწყება დამოკიდებულია ადგილობრივ ახალ თვითმართველობების მოწყობაზე, რომლებიც შინაგან სამინისტროს ცნობით მხოლოდ პირველ ოქტომბერს დაიწყებენ მოქმედებას. არჩევნების დასაჩქარებლათ საარჩევნო სიების შედგენა მიენდოს არსებულ თვითმართველობათა ორგანოებს. კომისიამ გამოიანგარიშა რამდენი დღე იქნება საჭირო არჩევნებისთვის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იქნება 60 დღე. თათბირმა მიიღო კომისიის ორი წინადადება: 1) სიებს ის ორგანიზაციები შეადგენენ, რომლებიც ადგენდენ სასოფლო და საქალაქოს, შემდეგ მას საბოლოოთ შეიმუშავებენ ქალაქის თვითმართველობათა ორგანოები. 2) დამფუძნებელ კრების არჩევნები უნდა დაიწყოს სოფლის და ქალაქის დემოკრატიულ თვითმართველობების შედგენის ორი თვის შემდეგ.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა დანიშნოს 1917 წლის 30 სექტემბერი დამფუძნებელ კრების მოწვევის დროთ. 2) არჩევნები მოახდინოს 1917 წლის 15 სექტემბერს, 3) საარჩევნო სიების შედგენა მიანდოს ოთხ ფორმულიან სისტემით არჩეულ სასოფლო და ქალაქის თვითმართველობათა ორგანოებს, 4) ეს დადგენილება ძალაში უნდა შევიდეს სანამ სენატი გამოაქვეყნებდეს.

რეზოლიუცია.

რეველი. რეველის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ განზრახულ გამოსვლის შესახებ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც აცხადებენ, რომ ეს გამოსვლა კონტრ-რევოლიუციონურია და გამოიწვევს მოქალაქობრივ ომს.

ერთდროული გადასახადი.

პეტროგრადი. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ერთდროულ გადასახადის შემოღების შესახებ, რომელსაც გადაახდევინებენ მათ, ვისაც 10 000 მ. მეტი შემოსავალი აქვს. გადაიხდიან 30 პროც. წლიწადში სამჯერ.

ყალბი საბუთები.

მინსკი მილიციამ ყალბი საბუთების ფაბრიკა აღმოაჩინა. როგორც გამოირკვა ფაბრიკის უმთავრესი კლიენტები დეზერტირები იყვნენ.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 15 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე, კუხრის დასავლეთით მტერმა ჩვენს წინაღმდეგ მახრჩობელი გაზები გამოუშვა. ბრეჟანის სამხრეთით გერმანელები ჩვენ სანგრებს დაესხნენ და რამდენიმე ჯარისკაცი ტყვეთ წაიყვანეს. კურომპატნიკის—შებალონის მიმართულებით მტერმა ენერგიული საარტილერიო სროლა დაიწყო.

რუმინის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე, სერდეშტის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ქალაქ სერდეშტი დაიკავა. ბისტანის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

პარიზი 14 ივნისი. ჰურტებიზის რაიონში საარტილერიო სროლაა. 12 ივნის ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო „დრაკონის გამოქვაბული“, რომლითაც მტერს ნამდვილ სიმაგრეთ გადაექცია. გამოქვაბულში ვნახეთ 9 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი სამხედრო მასალა. საარტილერიო სროლა გაჩაღდა მარონვილის სამხრეთ მაღლობებთან. აქ ქვეითი ჯარი მონაწილეობას არ ღებულობს.

ბალკანეთში—სტრუმიცის ფრონტზე ბრიტანიის ჯარს მტრის პოზიციებზე იერიშები მიაქვს. დანარჩენ ფრონტზე იერიშებს ვიგერიებთ.

ლონდონი. 14 ივნისი. საფრანგეთში ფონტენ ლე კრუაზილის ჩრდილო-დასავლეთით საარტილერიო სროლაა. ასეთივე სროლა სწარმოებს ლა ბასის რაიონში.

მდ. სუშის ფრონტზე ორი მილით და 100 იარდით წინ წავიწიეთ.

რომი. 14 ივნისი. აზიაგოს მაღლობებთან ბრძოლა კვლავ განახლდა. აქ ჩვენი ჯარი მტერს სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. ვერსიოს სამხრეთით საარტილერიო სროლაა.

ახალი ამბები

◆ **კავკასიის ჯარისკაცთა დეპუტატების** საბჭომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ყველა საკონტროლო ადგილებში დეპეშით განკარგულება დაგზავნა, რათა სასტიკი თვალყური ადევნონ, რომ ჯარისკაცებს ნება არ მიეცეს რაიმე ნივთის გაყიდვისა, ამასთანავე საბჭო წინადადებას აძლევს რკინის გზის ყველა აგენტებს, სადგურების ჯარის უფროსებს, რომ, თუ ვინიცობაა, იქ სახაზინო ნივთების ყიდვა გაყიდვას ექნება ადგილი, დააპატიმრონ როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი და პასუხის გებაში მისცენ. 11 ივნის ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კრებას დაესწრნენ კავკასიის ჯარის ახალი სარდალი გენ. პრჟევალსკი და შტაბის უფროსი გენ. ტომილოვი. მათ მოიწონეს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობა და აღუთქვეს ყველაფერში თანხმობით მოქმედება.

◆ **წყლის ნაკლებობაა** ამ უკანასკნელ დღეებში თფილისის ზოგიერთ უბანში. ვინაიდან ქალაქის გამგეობა ამ მოვლენას სათანადო ყურადღებას არ აქცევს, კითხვა [illegible] საქალაქო სასურსათო კომიტეტმა იზრუნოს ამის შესახებ. ამ მიზნით კომიტეტი კვირას საგანგებო კრებას იწვევს.

◆ **ნაციონალური კითხვა.** 18 ივნის დილის მეთორმეტე საათზე სახალხო სახლში რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას ა. ი. ჩხენკელი თემაზე: „ნაციონალური კითხვა“.

◆ **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის** დადგენილებით თანახმათ დაბა ხონი ქალაქათ დაწესდა.

◆ **თფილისელ მარქსისტი ქართველ.** სტუდენტები აცხადებენ პროვინციელ ამხანაგ მარქსისტ ქართველ სტუდენტთა საყურადღებოთ, რომ 19 ივნისისთვის განზრახულ ქართველ სტუდენტთა კონფერენციაში ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

◆ **უსახლ კარო ქურთები.** როგორც იტყობინებიან, ბერგი-კალეში 1200 სულს უსახლკარო ქურთს მოუყრიათ თავი. მათი მდგომარეობა აუწერელი ყოფილა—ბალახით იკვებებიან. ქალაქთა კავშირმა გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს მათ. ამ მიზნით იქ აარსებენ საკვებ „პუნქტს“.

◆ **ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ.** დღეს, ივნისის 17 საღამოს 5 საათზე დანიშნულია ქართველ სტუდენტთა, კურსისტ ქალთა და აბიტურიენტთა საერთო კრება. კრების მიზანია მომავალ ქართ. სტუდენტთა და კურს. ქალთა კონფერენციის დელეგატების ამორჩევა. ამოირჩევენ მხოლოდ ისინი, რომელთაც არ მიუღია მონაწილეობა დელეგატების არჩევნებში. ბინა: ოლღას ქუჩა № 52.

◆ **თფილისის მილიციის უფროსმა** დაამტკიცა ქუჩებში ავტომობილთა მიმოსვლის წესი. ამ წესის თანახმად საათში 15 ვერსტზე მეტი არ უნდა გაირბინოს ავტომობილმა. უნდა დადიოდეს ქუჩის მარჯვენა მხარეზე ისე, რომ ეტლების ურმების და სხ. მოძრაობას ხელი არ შეუშალოს. წესების სისწორით სისრულეში მოყვანას თვალყური უნდა ადევნონ მილიციონერებმა და შოფერების ბიურომ. ამასთანავე მილიციის უფროსმა განკარგულება გამოსცა, რათა სახლების პატრონებმა მეეზოვეები დაიქირაონ. ღარიბ სახლის პატრონთ რამდენიმეს შეუძლიათ ერთი მეეზოვის დაქირავება.

◆ **ხორბალი.** 15 ივნისს თფილისში შემოიტანეს 3 ვაგონი პურის ფქვილი, 16 ვაგონი სიმინდი და 6 ვაგონი ქერი.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების** საბჭოს კრება მოხდება დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში. დღის წესრიგი: საპოლკო სასამართლოები, სახელმწიფო დუმის და საბჭოს დათხოვნა, ყველა რევოლიუციონური ძალების გაერთიანება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გარშემო, საერთო მიტინგის საკითხი, კომისიის მოხსენება იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც მიტინგზე ორატორებს შორის ჩამოვარდა.

თფილისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში თავისუფალია რუსული და გერმანული ენების მასწავლებლის ადგილი, ფრანგული ენის გაკვეთილები და კლასის დამრიგებლის თანაშემწის ადგილი. ჯამაგირი და პენსია იგივეა, რაც მთავრობის გიმნაზიებში.

◆ **სოც.-დემ. მილიციონერების კრება.** 18 ივნისს დილის პირველ საათზე დანიშნულია საერთო დამფუძნებელი კრება პარტიულ ამხ. მილიციონერებისა. ყველა კომისარიატებიდან თავს მოიყრიან სასახლესთან და იქიდან წავლენ მთაწმიდის ქუჩაზე № 18 მამადავითის სკოლაში. ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ პარტიული წევრობის ბილეთები. თუ ვინმე დარჩენილია პარტიის გარეშე უნდა ჩაეწერონ ამა თუ იმ პარტიულ რაიონებში. პირველი კითხვა იქნება მუდმივ ხელმძღვანელ ბიუროს არჩევა, მეორე—კოოპერატივის მოწყობა, მესამე—ბათუმელ მილიციონერების მიერ მოწოდების განხილვა, საბჭოთა ყრილობის მოწყობა-მოწვევისა და სხვა შინაური კითხვები.

◆ **ბოიკოტი.** თფილისის მებაღეთა ბიურო გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ თფილისის მებაღეების საერთო კრებამ 8 ივნისს გადასწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს კრწანისის მებაღეს სილოვან ჩირგოლაიშვილს, მისი არაამხანაგური მოქმედებისთვის და [illegible] გაფრთხილების მიუხედავათ მაინც ძველის გზით სიარულისთვის, ეს დადგენილება სავალდებულოა ყველასთვის როგორც მებაღეებისთვის აგრეთვე მისი ნაცნობებისთვის, მანამდის, სანამ საზოგადოების წინაშე ბოდიშს არ მოიხდის.

◆ **საღამო.** დღეს, 17 ივნისს დ. ყვირილის საკრებულო დარბაზში სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ალიონის“ სასარგებლოთ გაიმართება დიდი საღამო ფრიად შინაარსიანი პროგრამით. სასურველია ამ სიმპატიურ მიზნით გამართულ საღამოს ხალხი ბლომათ დაესწროს.

◆ **მზარეულების პროფესიონალური კავშირის** ბიურო გადმოვიდა მიხეილის პროსპექტზე—შესახვევი № 34. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან 12 საათ. და საღამოს 5 ს. 10 საათამდე.

◆ **პირველი ნაწილის ბინის კომიტეტი** მოთავსებულია მე 4 საქალებო გიმნაზიაში ანასტასიევის ქუჩაზე არღუთინსკის სახლში. თხოვნები და განცხადებები მიიღება დილის 8—10 საათ. და საღამოს 6—8 ს.

◆ **სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა** პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აუწყებს ამხანაგ წევრებს, რომლებიც მუშაობენ ქალაქის პირველ და მეორე ნაწილში, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების სახლში, კიროჩნი ქუჩაზე დანიშნულია რაიონული კრება, რაიონის დელეგატების ასარჩევათ.

◆ **თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ** 34 მ. 70 კაპ. მიიღო თფილისის სახერხავ ქარხნების მუშათა შორის მუშების გ. სოხაძის და ი. მგებრიევის მიერ შეკრებილი პოლიტიკურების სასარგებლოთ.

◆ **დაკარგული ბავშვი.** 7 ივნისს სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნებულა გიორგი ნიკოლოზის ძე კიკასაშვილი, სართიჭალის რაიონის სოფელ თოხლიაურიდან, იმყოფებოდა ქ. თფილისში, ვეზნის ქუჩაზე, სახ. № 24 დალაქ პეტრე ვეფხვაძესთან. წლოვანობით არის უმეტეს 12 წლისა, სახე აქვს მრგვალი, შავ-თვალაა, სახეზე ცოტა ჭორფლი აქვს, ტანთ აცვია შავი ხალათი და შავი შარვალი.

◆ **უწესოება ქუთაისში.** 13 ივნისს, საღამოს 8 საათზე ქუთაისში შემდეგი უწესოება მოხდა: ბალის ქუჩაზე ტრაქტირში რამოდენიმე ჯარისკაცებს თავი მოეყარათ და ბანქოს თამაშს შესდგომოდენ. თამაშის დროს ჯარისკაცები ერთმანეთს წაელაპარაკენ, რასაც ხელჩართული ჩხუბი მოყვა და ბოლოს დანების ტრიალიც გაჩაღდა. წესიერების აღსადგენათ ჩაერიენ მილიციონერები. ჯარისკაცებმა ეს იუკადრისეს, თავი ანებეს ურთიერთ შორის ჩხუბს და ყველანი მილიციონერებს დაესხნენ: ახადეს თოფები, რევოლვერები და ცემით წამოიყვანეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსაკენ. გზაში მათ შეერთებოდენ სხვა ჯარისკაცები და ვინც შეხვდებოდათ მილიციონერთაგანი, ყველას იარაღს ხდიდენ და აპატიმრებდენ. ეს ერთი წყება მაჩხუბრებისა მოიყვანეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დარბაზში საქმის გამოსარკვევათ, რომ მეორე ადგილს ახალი ჯგუფი ჯარისკაცებისა შესდგომოდნენ მილიციონერების დაპატიმრებას. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მეორე ჯგუფის მოქმედება, რომ მათ წინ არ შეხვედროდა ამხ. ა. ჯაფარიძე და გელა, რომელთა რჩევა დარიგებამ მათზე გასჭრა და ყველანი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დარბაზში მოიყვანეს. დარბაზში ჯარისკაცების ტევა არ იყო და შენობის წინ ქუჩებიც ჯარით აავსო. ტრიბუნაზე ადის ამხ. გრ. გიორგაძე და მგრძნობიარე სიტყვით მიმართავს ჯარისკაცებს და მოუწოდებს მათ წესრიგი დაიცვან და დაიშალონ საქმის გამოძიებას კი თვით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო შეუდგა. ლაპარაკობენ სხვებიც. მეორე ტრიბუნა გარეთ იყო გამართული, სადაც ასეთივე შინაარსის სიტყვებით მიმართავდნენ მათ ორატორები. ჯარისკაცებმა ნართმევი თოფები დასტოვეს და დაიშალნენ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო შეუდგა საქმის გამოძიებას. ქალაქს დაცვა მე-110 და 115 პოლკის ჯარისკაცებმა იდვეს თავზე. („სოციალ დემოკრატი“).

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელი „ერთობის“ მეექვსე ახალ ამბავში სწერია: კავკასიის საინჟინერო სამშენებლო სფრონტო კომიტეტში და სხ., უნდა იყოს: **საფრონტო კომიტეტში** და სხ.

კრებები და მიტინგები.

18 ივნისს, დილის 10 საათზე მესამე სამილიციო უბნის სოც. დემ. პარტიის წევრთა, მოქალაქეთა და სამხედრო პირთა კრება დანიშნული. სარქისოვი წაიკითხავს მოხსენებას: მიმდინარე მომენტი და საქალაქო არჩევნები; საარჩევნო კამპანიის მოწყობა მესამე სამილიციო უბანში. იქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და პარტიული ლიტერატურის შეძენა. კრება მოხდება მესამე საქალებო გიმნაზიაში (ბებუთოვის ქუჩა № 28).

— კვირას, 18 ივნისს, პირველ კომერციულ სასწავლებლის შენობაში შესდგება ბინის დამქირავებელთა კრება. კრება აირჩევს საუბნო ბინის კომიტეტში 4 წარმომადგენელს, კრება დაიწყება 12 საათზე და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

— 18 ივნისს სამშენებლო მუშებისა და ხუროთა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება; დასწრება შეუძლიათ აგრეთვე კალატოზებს, მლებავებს და „ფიჩნიკებს“. კრება განიხილავს მოხსენებას საქალაქო არჩევნების შესახებ. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ დილის 9 საათზე, კომერციულ სასწავლებელში ჰანსენვიჩის ქ. № 38.

— 18 ივნისს დილის 10 საათზე ველაბრის კლუბში სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა საერთო კრებაა, წესრიგია: საქალაქო არჩევნები, დამატებითი არჩევნები გამგეობის 4 წევრისა და მიმდინარე საკითხები.

— კვირას, ივნის 18, წირვის შემდეგ, 12 საათზე, საეკლესიო სკოლაში დანიშნულია კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მრევლთა განმეორებითი კრება განურჩევლათ სქესისა. საგნები კრების მსჯელობისა: ახალი სამრევლო საბჭოს დაარსება და მისი წევრების არჩევა, ახალი მნათის არჩევა და სხვ. ნი. კრებული ეკლესიისა უმორჩილესად სთხოვს მრევლს უსათუოდ მობრძანდნენ კრებაზედ დასასწრებლად.

პროვინციის ქრონიკა.

აგარაკი ბახმარო. გამგეობა აგარაკ ბახმაროსი აცნობებს მოაგარაკეთა საყურადღებოთ, რომ მან შეძლებისადაგვარათ დღევანდელ პირობებში, მოაწესრიგა სურსათ სანოვაგის საქმე. შეიძინა 2 ვაგონი პურის ფქვილი, შაქარი და სხვა აუცილებელი საჭირო სანოვაგე. 25 ივნისიდან სეზონი გაიხსნება.

სად. ჯუმათი (გურია). ამ სადგურის ახლოს მდებარეობს ჯურუყვეთის საზოგადოება. ამ საზოგადოებაში რამოდენიმე ფეოდალისტი არის. მათ შორის თავი ისახელა ერთმა ბ. დ. გიგინეიშვილმა, რომელიც ლანძღვა გინების მეტს არაფერს აკეთებს და სულ იმის ცდაშია, რომ ჩვენ [illegible] ცილი დასწამოს რამე. ერთს ჩვენს სახელოვან ბელადს მან ხულიგანი და ჯაშუში უწოდა. ამის შესახებ ჩვენ მას რასაკვირველია პასუხს მოვთხოვთ, მაგრამ სჯობს კი, რომ თვითონ შეიკავებდეს თავს და პატიოსნათ ავრცელოს თუ სურს თავისი შეხედულება.

ქართლი. ხანგრძლივმა წვიმებმა პურნახულები წაახდინა და გააბალახა. სიმინდების თოხნა არ ხერხდება, მუშა ხელი-კი ხუთ მანეთამდე ავიდა დღიურათ. სოფლის მშრომელი დიდს საგონებელში ჩავარდნილი, რომ ეს წვიმები არა, წელს დიდი მოსავალი იყო მოსალოდნელი.

ხად. გომი. გომის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო, რომელსაც მეტად ენერგიული ამხანაგები უდგია სათავეში სასტიკ ზომებს ღებულობენ ფარულა ღვინის ვაჭრობის წინააღმდეგ.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდი.

(მეოთხე დღე, 14 ივნისი.)

თავმჯდომარეობს ამხ. მაქსიმოვი.

ამხ. **ნოე რამიშვილი** აკეთებს მოხსენებას მუშათა საკითხზე. რევოლიუციამ—ამბობს მომხსენებელი—წამოაყენა მრავალი პოლიტიკურ და სოციალურ ხასიათის საყურადღებო კითხვები. პირველი, ე. ი. პოლიტიკურ საკითხებში თანხმობა არსებობს ყველა რევოლიუციაში მონაწილე კლასთა შორის, თვით ბურჟუაზიაც დაინტერესებულია მათ გადაჭრაში, მაგრამ ეს არ ითქმის სოციალურ საკითხთა შესახებ, აქ უკვე ჰქრება ინტერესთა თანხმობა... ასეთ საკითხებს ეკუთვნის აგრარული და მუშათა საკითხი, არის ჯარისკაცთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, მაგრამ იგი არ ეხება რომელიმე კლასის ინტერესებს. აგრარული საკითხი არის მიმართული ძველი წყობილების მომხრე მემამულეთა წინააღმდეგ, რომლებიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ რევოლიუციაში. ბურჟუაზიას, როგორც კლასს, არ ეწინააღმდეგება აგრარული საკითხის გადაჭრა და გარდა ამისა იგი ეხება მრავალ მილიონიან გლეხობას, რომელიც საგრძნობ ძალას წარმოადგენს. მას ასე თუ ისე ანგარიშს უწევენ და ამიტომ აგრარული საკითხის გადაჭრა ადვილია, იგი არ იწვევს წინააღმდეგობას ანგარიშ გასაწევ წრეებში... სულ სხვაა მუშათა საკითხი, იგი მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც შეკავშირებულია ძლიერ ორგანიზაციებში და ეხება შედარებით მცირე რიცხოვან კლასს. ეს გარემოება აძნელებს მის გადაჭრას თუნდაც პროგრამა მინიმუმის საზღვრებში. სწორეთ ამისთვის მუშათა კლასმა უნდა ისარგებლოს ხელსაყრელ შემთხვევით სანამ იგი შეიცვლებოდეს, გამოიჩინოს დიდი ენერგია და გადასჭრას მუშათა საკითხი რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის გაღებით. ყოველგვარ მოთხოვნილების წამოყენების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ბაზრის მოთხოვნილებას. დღევანდელი მომენტი ამ მხრით მეტათ ხელსაყრელია, ომმა შექმნა ისეთი პირობები, თითქმის არ არის უმუშევრები. მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე გვჭირია, საქმე გვაქვს ძლიერ შეკავშირებულ ძალასთან და მუშათა საკითხი უნდა გადავჭრათ არა ძალდატანებით, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით. თუმცა სანამ ამის შესახებ დეკრეტი გამოიცემოდეს, შესაძლებელია ცალკე ადგილებში მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება. მაგრამ უნდა ვეცადოთ მაინც, რომ ყოველივე მოპოება დაკანონებულ იქნას, რომ, როცა პირობები გაუარესდება, კაპიტალისტებმა ვერ შესძლონ მათი უკან წაღება. მართალია, კანონის დარღვევაც შესაძლებელია, მაგრამ ეს ძნელი მოსახერხებელია, გამოიწვევს როგორც მუშების, ისე გლეხების მხრით წინააღმდეგობას. სანამ არ არის შესაფერი კანონი გამოცემული, მომრიგებელ კამერებმა უნდა შეუწყონ ხელი შრომის პირობების გაუმჯობესებას, 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას და სხვ. მთელი სამი წლის განმავლობაში ბურჟუაზია ცდილობდა მუშათა მდგომარეობის გაუარესებას, რასაც ადვილად აღწევდა იმის გამო, რომ მუშების საუკეთესო ნაწილი ბრძოლის ველზე გაიწვიეს, დარჩენ მოხუცები, მცირეწლოვანები და ნაკლებათ შეკავშირებული მუშები. დაეცა როგორც ნომინალური, ისე რეალური ხელფასი, პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასებმა აიწია 300 პროც. და მეტით, გავრცელდა მათი ფალსიფიკაცია, რაც იწვევს მუშების ფიზიკურათ გადაშენებას. როცა ლაპარაკია 8 საათის სამუშაო დღეზე, უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ზოგიერთ წარმოებაში, რომელიც თავდაცვაზე მუშაობს, უნდა დავუშვათ ზედმეტი მუშაობა, ვინაიდან ომი ბევრ საქონელს თხოულობს და ანგარიში უნდა გავუწიოთ ამხანაგების მდგომარეობას ფრონტზე. მაგრამ, მუშათა კლასი ულალატებდა თავის პრინციპებს, რომ ზედმეტი მუშაობა არ განესაზღვრა. სადაც აუცილებელი იქნება ზედმეტი მუშაობა უნდა იქნეს დაშვებული—ყოველთვის პროფესიონალურ კავშირების ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ნებართვით და არ უნდა გადაჭარბდეს 3—4 საათზე მეტი. თუ მეტი მუშაობა საჭიროა, მაშინ შემოღებული უნდა იქნეს მორიგეობა, ეს ხელს შეუწყობს უმუშევართა რაზმის შემცირებასაც. უნდა იქნეს განხორციელებული აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისაგან, მოხუცებულობისაგან, დამზღვევ დაწესებულებათა დემოკრატიზაცია და სხ. ომი ადრე თუ გვიან აუცილებლად გათავდება, 15 მილიონი ჯარი უკან დაბრუნდება, უმრავლესობა იძულებული იქნება ქალაქს მიაშუროს და ამნაირათ შესდგება ჯერ არ ნახული უმუშევართა არმია, მუშათა კლასის მდგომარეობა აუტანელი გახდება. ბურჟუაზია დღესაც კი ეწევა აგიტაციას, მუშების მოთხოვნილება გადაჭარბებულია, იძულებული ვქნებით წარმოება შევაჩეროთო და სხ. და თუ დღეს არ აქვს ამ აგიტაციას გასავალი, ასე როდი იქნება მაშინ, როცა მუშა ხელი ბევრი იქნება. შრომის ფასი ყოველთვის მუშა ხელის მოთხოვნილებითა და მიწოდებით განისაზღვრება. ამ მხრით ჩვენ მოგველის ისეთი კრიზისი, როგორიც ისტორიას ჯერ არ ახსოვს. და თუ სახელმწიფომ არ იკისრა მუშათა კლასის დახმარება, მას გადაშენება მოელის. საჭიროა დაუყონებლივ შევუდგეთ სახელმწიფო დაზღვევის მოპოებას, ეს შესაძლებელია საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით დამფუძნებელ კრებაზე. თუ ამ უკანასკნელის მოწვევა გაჭიანურდა, მაშინ უნდა ვეცადოთ დეკრეტის გამოცემას. ბურჟუაზია ავრცელებს ხმებს, წარმოება მოგებას არ იძლევა, უნდა დავხუროთ ფაბრიკა ქარხნებიო და სხ. ასე იყო 1905 წელშიც, ცხადია ბურჟუაზია ლოკაუტისათვის ემზადება და ამ მხრით გუჩკოვი და კონოვალოვი პირველი მერცხლებია, რომლებიც გვაცნობენ ახალი ძალის აღორძინებას, რომელიც პირველ შემთხვევისთანავე გამოუცხადებს მუშებს ბრძოლას. „მეფე შიმშილს" ვერავინ აღუდგება წინ და თუ ზომები არ იქნა მიღებული, რევოლიუციას საფრთხე მოელის, ვინაიდან დამარცხდება მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა—მუშათა კლასი. წამოყენებულია აგრეთვე მოთხოვნილება წარმოებაზე კონტროლის შემოღებისა, ცალკე მუშების მიერ კონტროლის დაწესება შეუძლებელია, წარმოების ხელში ჩაგდება ანარქიას გამოიწვევს, ეს ნიშნავს ვითომ სოციალიზმს ვანხორციელებთ, რაც შეუძლებელია დღევანდელ პირობებში, არ უნდა ვიკვებებოდეთ ილიუზიებით ვითომ ჩვენ შევძლებთ სოციალური რევოლიუციის დაწყებას მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმი მძვინვარებს. მაგრამ, როცა მწარმოებლები ლოკაუტისათვის ან წარმოების განზრახ შემცირებისათვის ემზადებიან, საჭიროა და შესაძლებელიც სახელმწიფო კონტროლის დაწესება. როგორც ხედავთ, მუშათა საკითხი მეტათ მრავალ მნიშვნელოვანი და ძნელი საკითხია, რომლის გადაჭრის დროს ჩვენს წინააღმდეგ სერიოზული ძალა გამოილაშქრებს. ბურჟუაზიას დამფუძნებელ კრების შემდეგაც ეყოლება წარმომადგენელი მთავრობაში და ყოველთვის ეცდება თავს დაესხას მუშათა კლასს. ამიტომ ბრძნული და ბრთხილი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ ხელი არ უნდა ავიღოთ იმ კითხვების გადაჭრაზე, რომლებიც მე აქ წამოვაყენე, 8 საათის სამუშაო დღე სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისაგან, მოხუცებულობისაგან, უბედურ შემთხვევათაგან და სხ. გააძლიერებს მუშათა კლასს, მაშასადამე რევოლიუციასაც. მხოლოდ ეს გზა იძლევა რევოლიუციის გამარჯვებისა და კონტრ-რევოლიუციის განადგურების გარანტიას.

ამხ. **კალანდარიშვილი** მოითხოვს მინიმალური ხელფასის დაწესებას და კოოპერატივებში 8 საათ. დღის შემოღებას.

ამხ. **პოპოვსკი** აღიარებს პროფესიონალურ კავშირების დაარსების საჭიროებას. ამხ. **იშკოვი** ეთანხმება პოპოვსკის აზრს და დასძენს, რომ პროფესიონალური კავშირები საჭიროა მოპოებათა შესანარჩუნებლათ და სხვადასხვა კითხვების გასარჩევათო. ამხ. **ლორთქიფანიძე** მოითხოვს ნარდათ მუშაობის მოსპობას, ვინაიდან იგი ხელს უშლის წარმოების განვითარებას და ღუპავს მუშებს, ამცირებს ხელფასს და ქმნის უმუშევრობას. ორატორი მოითხოვს აგრეთვე ყურადღება მიექცეს ქალთა და მცირე წლოვანთა შრომის პირობებს, ქალთა სამუშაო დღე 6 საათით უნდა განისაზღვროსო.

ამხ. **ივ. ჭეჭანიძე** წინადადებას იძლევა მოისპოს კამათი, ვინაიდან არსებითად მოხსენების წინააღმდეგ არავინ ლაპარაკობს; ის წვრილი კითხვები კი, რომლებიც აქ ორატორებმა წამოაყენეს, მოხსენების მთავარ მუხლებში შედიანო.

კამათი ისპობა.

ამხ. **ნოე რამიშვილი** საპასუხო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ის განზრახ არ შეეხო პროფესიონალურ კავშირებს, ვინაიდან მათ შესახებ ცალკე კითხვაა დასმული დღის წესრიგში. დღეს აქ ჩვენ პროგრამის ყველა მუხლებს კი არ ვარჩევთ, არამედ ვეხებით იმ კითხვებს რომლებიც მომენტმა წამოაყენა.

რეზოლიუციის გამომუშავება მიენდო პრეზიდიუმსა და მომხსენებელს.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა ნაციონალურ საკითხზე **ნოე ჟორდანიას** მოხსენება*).

იმართება კამათი მოხსენების შესახებ.

ამხ. **ლიო ნათაძე**. მოხსენება მაკმაყოფილებს, ვინაიდან ჩემი შეხედულებაც მას უახლოვდება. ჩვენი პარტია თავიდანვე ინტერნაციონალური დროშით გამოვიდა, იგი მომრიგებელის როლს თამაშობდა კავკასიის ერთა შორის და ნაციონალურ საკითხის გადაჭრის დროსაც უნდა გვახსოვდეს ეს და ანგარიში გაუწიოთ ყველა ერებს, და არა რომელიმე ერთს მარტო. მომხსენებელი ყოფს ამიერ კავკასიას სამ ტერიტორიალურ ნაწილათ, რომლებშიაც ცხოვრობენ ქართველები, სომხები და თათრები. მაგრამ თათრები არ წარმოადგენენ ერთ მთლიან ეროვნებას, მასში შედიან სხვადასხვა ნაწილები, რომლებსაც აერთებს მარტო სარწმუნოება და ამ მხრითაც კი მათ შორის ორი მიმართულებაა. ცხადია, ასეთ დანაწილებით არ გადიჭრება ნაციონალური საკითხი. თვითმართველობის პრინციპი უნდა გავატაროთ ბოლომდე და არ შევურიოთ მას ტერიტორიალური პრინციპი იქ, სადაც შესაძლებელია. უნდა გამოვჭრათ ტერიტორიალური ერობა, მაგრამ მათი ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია, არ შეიძლება ერთი კუთხის მეორე კუთხეზე ჩამოჭრა, თუ მათ შორის სრთული ეკონომიური დამოკიდებულება არ უნდა დავარღვიოთ. მომხსენებელს უნდა, რომ ერის კულტურულ განვითარებას საფუძვლათ დაედვას ტერიტორია, მაგრამ იცის, რომ ეს ყველგან არ არის შესაძლებელი და მიმართავს ტერიტორიალურ ერთეულობის ხელოვნურათ გამოჭრას. მე მგონია უფრო ხასურველია და გამოყენებული უნდა იქნეს ის სხემა, რომელიც მომხსენებელმა შერეული ნაწილებისათვის მოგვცა, არ არის საჭირო დიდი ტერიტორიალური ერთეულები, სჯობია შევქმნათ წვრილი საერობო ტერიტორიები და გადავცეთ მას ის ფუნქციები, რომელსაც მომხსენებელი აძლევს შერეულ ერთეულებს. დიდი კავშირია ეროვნულ ინტერესებსა და საერობო თვითმართველობის შორის, წვრილი ერთეულები ეკონომიურათ შეერთდებიან ფართო საერობო მთელში (საგუბერნიო ერობა), კულტურულის მხრით კი—კულტურულ ეროვნულ კავშირებში.

ამხ. **იშკოვი**. ს.-დ. მშვენიერათ გამოხატავდენ თავის დამოკიდებულებას ნაციონალურ საკითხთან იმით, რომ სდუმდენ, ე. ი. არ აქცევდენ მას მთავარ ყურადღებას სხვა კითხვებთან შედარებით, მაგრამ ჩვენ მაინც გვქონდა პროგრამაში შეტანილი სახელმძღვანელო პრინციპი—ერთა თვითგამორკვევა.

ამხ. **ცინცაბაძე** მხარს უჭერს მომხსენებლის პროექტს და აღნიშნავს, რომ ჩვენ ეროვნულ საკითხში ყოველთვის გამორკვეული ვიყავით იმდენათ, რამდენათ ვებრძოდით კაპიტალიზმს, ე. ი. ამ საკითხის გადაჭრის დროს ყოველთვის ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებით თუ რამდენათ უწყობს ეს თუ ის გადაჭრა ხელს კლასთა ბრძოლის გაღვივებას და სოციალიზმის მოახლოვებასო.

ამხ. **ჯალალბეგოვი** უპასუხებს ამხ. ლ. ნათაძეს და ამბობს, რომ თათრებს დღეს არ ანაწილებს სარწმუნოება. ისინი ერთ მთლიანს წარმოადგენენ და სხვა ერთა დემოკრატიასთან ერთად იბრძვიან კაცობრიობის კეთილდღეობისათვისო.

ამხ. **ლორთქიფანიძე**. ჩვენ, მუშები დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს ნაციონალურ საკითხის ირგვლივ ჩვენს ლიტერატურაში გამართულ კამათს და ყოველთვის ვიზიარებდით ს.-დ. შეხედულობას, როგორც ინტერნაციონალურს. ტერიტორიალური პრინციპი ჩვენ გვყოფს და მას ვერ მივიღებთ.

ამხ. **ჩხირტლაძე** მხარს უჭერს მომხსენებლის პროექტს და ამბობს, რომ ჩვენს მუშებს შორის არ არის ინტერესთა სხვადასხვაობა, ჩვენი დროშა ინტერნაციონალურია.

ამხ. **აკოპიანი** გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ჩვენ უნდა ვიდგეთ კულტურულ პრინციპის თვალსაზრისზე, ვინაიდან ტერიტორიალური პრინციპი ამწვავებს ერთა შორის დამოკიდებულებასო.

ამხ. **სტეფანოვი** იზიარებს ამ აზრს და ამბობს, რომ ტერიტორიალური ავტონომია აბნელებს კლასიურ შეგნებასო, კავკასიაში შესაძლებელია მხოლოდ კულტურული პრინციპით ხელმძღვანელობაო.

ამხ. **დადიშკელიანი**. ჩვენ, მარქსისტები, ყოველთვის გამოვდიოდით არსებულ მდგომარეობიდან, მოვლენის გამომწვევ მიზეზებიდან. ასე ვიქცევით დღესაც, ასე მოიქცა მომხსენებელი ნაციონალურ საკითხის გადაჭრის დროსაც. ჩვენ ცხოვრებას უწევთ ანგარიშს. ნაციონალისტები ჩვენ ერის მოღალატეებს გვიწოდებენ, ამაზე მაშინ შესაფერი პასუხი მიიღეს, დღეს ჰგონიათ, ვითომ მათკენ გადავედით. მაგრამ, როგორც მომხსენებლის პროექტმა დაგვანახა, არც ეს არის მართალი.

ამხ. **პ. საყვარელიძე** თავის ვრცელ სიტყვაში ამბობს, რომ მე თუ მეძახით ნაციონალისტს, ნაციონალისტები ნოეს შესახებაც ფიქრობენ, ვითომ იგი მათკენ გადავიდა, მაგრამ საქმე სახელწოდებაში ხომ არ არისო. ამხ. ლ. ნათაძე,—განაგრძობს ორატორი,—ერობას მოითხოვს, ჩვენ კი ეროვნული საკითხის გადაჭრა გვაინტერესებს. იგი გვიწუნებს ტერიტორიალურ პრინციპს თვითონ კი ღებულობს მას პატარა ერთეულებისათვის. ჩვენ კრიტიკულმა აზროვნებამ და პირობების შეცვლამ მიგვიყვანა ნაციონალურ საკითხის ასე გადაჭრამდე. მე მოვითხოვ ტერიტორიალურ პრინციპის ფართო სივრცეზე გამოყენებას იმიტომ, რომ მაშინ კლასთა ბრძოლა უფრო გაადვილდება და მეორეც ის, რომ რუსეთის მთავრობა შემდეგშიაც ბურჟუაზიული იქნება და მას ვერ დავენდობით. თუ ყველა მიწებს არ ვძლევთ ცენტრს, რატომ უნდა გადავსცეთ მას ყველა ეროვნული საქმეები? რაც შეიძლება მეტი უფლება უნდა წამოვიღოთ ცენტრიდან. დღეს კ. კაუცკის თქმით, პროლეტარიატი იცავს ეროვნებას და არა ბურჟუაზია. საბოლოოთ ნაციონალური საკითხი რა თქმა უნდა, სოციალიზმის დროს გადაწყდება, როცა საგნებით მოისპობა კლასიური და ეროვნული უპირატესობანი, მაგრამ პროლეტარიატი დღესაც დაინტერესებულია მის რადიკალურ გადაჭრაში. რევოლიუციის გამარჯვება საერთო პირობაა ნაციონალურ საკითხის გადასაჭრელათ. ჩვენ მოვითხოვთ დეცენტრალისტურ რესპუბლიკას. კავკასია უნდა იყოს ერთგვარ და შერეულ ტერიტორიალურ ავტონომიებათ. იქნება შერეული და შეურეველი კანტონები, როგორც არის მოწყობილი მაგ. შვეიცარია, სადაც ორ სამ ენოვან კანტონებსაც კი შეხვდებით. ტერიტორიალურ ერებს უნდა მიეცეს ტერიტორიალური ავტონომია, ვისაც იგი არ გააჩნია—კულტურული ავტონომია უნდა მიეცეს. ამ ავტონომიათა კავშირი და დამოკიდებულება ცენტრსთან უნდა იყოს პირდაპირი, არ არის საჭირო კავკასიის ავტონომია, საერთო კითხვს გადასაჭრელათ დგება ინტერპარლამენტარული საბჭო. ადგილობრივ კანონების გამოსაცემათ უნდა დაარსდეს პარლამენტი, უნდა მიეცეს მას კანონმდებლობის უფლება. ცენტრის კომპეტენცია: საერთაშორისო პოლიტიკა, ომი და ზავი, ჯარი, ფლოტი, ფული, [illegible], სამოქალაქო, სისხლის სამართლის, მუშათა კანონმდებლობის საზოგადო ნაწილი; ცენტრი უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ წვრილ ერთა უფლება ხელშეუხლებელი იქნება, არ უნდა შეეძლოს ავტონომიური ტერიტორიის მოკვეცა ცენტრის ბურჟუაზიას, ავტონომიას უნდა ჰქონდეს სუვერენული (შეზღუდული საერთო კანონებით) უფლება. ხელშეუხლებელი უნდა იქნეს მოქალაქის უფლებაც. ავტონომიური წყობილება დემოკრატიული უნდა იქნეს იმ პირობით, რომ მისი დადგენილებები არ იქნება წინააღმდეგი საერთო დადგენილებისა.

ადგილობრივ მმართველობის კომპეტენცია: კულტი, სარწმუნოების საკითხი, იუსტიცია, ყველა კულტურული კითხვები (ამ სფეროში იგი კანონმდებელი უნდა იყოს), ადგილობრივი გადასახადები, ხაზინა, საერობო და საქალაქო თვითმართველობის მოწყობა, წესრიგის დაცვა (ადმინისტრაცია), ჰიგიენა, სანიტარია, წყლისა და ტერიტორიის ექსპლოატაცია, სასოფლო მეურნეობა, ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობისათვის ხელის შეწყობა, მიმოსვლა, რკინის გზა, კოლონიზაცია, მიწათმოქმედება და მიწათ მფლობელობა, ნაწილი სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სოციალური კანონმდებლობისა, რამდენათაც ეს საჭიროა კულტურული თვალსაზრისით; ცენტრში გამოცემულ კანონების განხორციელება, ინიციატივის უფლება. წყობილება უნდა იქნეს დემოკრატიულ-რესპუბლიკანური რეფერენდუმისა და ინიციატივის უფლებით, უმცირესობას უნდა მიეცეს გარანტია და კულტურული ავტონომია.

ნაციონალურ საკითხის ირგვლივ შეთანხმება საჭირო. ნოეს [illegible], რომელიც მე მინდა წინ წავწიო, ნიადაგზე დადგება მთელი ერი. ჩვენს შორის კომპეტენციაში არის განსხვავება.

კამათის გაგრძელება გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ვენე ალათიშვილი.

ოლესიდან.

(უკრაინულიდან)

1.

ირგვლივ საფლავნი... დახრილნი ჯვარნი...
ან მოჩვენება თუ არის მწარე?
ჯვრები ძმებია, ძვირფასნი, ტკბილნი,
სასაფლაო კი—სამშობლო მხარე!
მე მოწოდება მავალებს... წავალ
და განვუხარებ ჩაგრულებს გულსა...
გავიცნობ ახლო იმათ ტკივილებს
და დავუამებ თუნდ მცირედ წყლულსა!

2.

და აჰა, უსაზღვროდ გულდაკოდილი—
უკანასკნელ სიმთ შევეხებ თითებს.
სისხლი სდის ჩანგსა... მწარედ დუდუნებს,
მიდამოს ასმენს მწუხარების ხმებს!
ვუცქერებ, თითქოს მიცვალებულნი
საფლავებიდან სმენად დგებიან.
თვალებს საშიშრად აბრიალებენ,
ახლო ლოდებზე ჩამოსხდებიან.
თახისა ჯვრებით დასისხლულ ხელში
სხედან... თან, ვატყობ, დუმილი უძმოთ...
ვიძახი... ვტირი... ვსწყევლი მიდამოს—
და ჩანგს ვუწყვეტავ უკანასკნელ სიმთ!..

3.

ირგვლივ დუმილი... ზრდილობიანად
ჩონჩხებმა დაბლა თავი დახარეს...
საფლავით დროით გამოსულებმა
მათ თავი ისევ იქ შეაფარეს...

იახამანი.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ ანგარიშში ნ. ჟორდანიას მოხსენებაში სწერია: „ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, რომელიც თითქმის რევოლიუციასაც თხოულობდა", უნდა იყოს: „ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, რომელიც თითქმის რესპუბლიკასაც თხოულობდა". მისივე საპასუხო სიტყვაში დაბეჭდილია: „ჩვენში ეს ასე არის"; უნდა იყოს: „ჩვენში ეს ასე არ არის" და სხ.

ვ. ა—ი.

იშვიათი დღესასწაული სპარსეთში.

ორი ივნისი იშვიათი დღეა თავრიზში. ამ დღის მოვლენა იშვიათი შემთხვევაა რუსსპარსთა ცხოვრებაში. რუსეთის რევოლიუციამ საზოგადოთ შორს გადაისროლა თავისი განმთავისუფლებელი შტოები. მან გამოაფხიზლა და გულში იმედი დაუსხა დამონავებულ სპარსეთსაც. რუსეთის განთავისუფლებასთან ერთად სპარსეთში თავი წამოყვეს დემოკრატიულმა პარტიებმა და აქტიურათ მოქმედება დაიწყეს. ორ ივნისისთვის თავრიზის გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით და სპარსელ დემოკრატიულ პარტიებთან შეთანხმებით სპარსეთის რევოლიუციაში დახოცილ გმირთა პატივსაცემლათ გადასწყვიტეს მანიფესტაციის მოწყობა.

ორ საათზე მთელი თავრიზის გარნიზონის ჯარმა დანიშნულ ადგილას თავი მოიყარა. ყველა როტებში დროშები ფრიალებდენ სპარსული და რუსული წარწერით. ლოზუნგებიც შესაფერი იყო წარწერილი: „გაუმარჯოს სპარსეთის განმთავისუფლებელ მოძრაობას", „გაუმარჯოს სპარსეთ-რუსეთის ხალხის ძმობას" და სხვადასხვა. ჯარი მუსიკით დაიძრა მარსელიოზის სიმღერით. გზაზე ურიცხვი სპარსელნი გვხდებიან „ურას" ძახილით. თანახმად შემუშავებული მარშრუტისა სპარსელთა ბრიგადის ეზოში უნდა შევსულიყავით. აქ დაგვხვდა სპარსელი რევოლიუციონერები!.. შევედით ეზოში. აქ სპარსელ კაზაკთა ბრიგადა და საპატიო ყარაულში ჩამდგარი დაგვხვდა. ვეებერთელა ეზო სახურავები ხალხით იყო გაჭედილი. „ურას" ძახილს და ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ცერემონია გათავდა. საგანგებოთ გაკეთებულ მაღალ ტრიბუნაზე ავიდნენ ორატორები. ზღვა ხალხი და ჯარი ტრიბუნისკენ გაექანა. კრება გახსნა სპარსელმა ორატორმა, რომელმაც სიხარულით აღნიშნა ეს დღე, როგორც განუწყვეტელი კავშირის შემკვრელი რუსის რევოლიუციონერ ჯარსა და სპარსეთის დემოკრატიის შორის. ტრიბუნაზე ადის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი საშა გამბაროვი. მან აღნიშნა ჯოჯოხეთური მდგომარეობა სპარსული მშრომელი ხალხისა, განსაკუთრებით გლეხობის მათზე ბატონობა სისხლის მწოველი ბეგების, აღნიშნა რუსის ჯარის დამოკიდებულება სპარსეთის რევოლიუციასთან, შეეხო ძველი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც, მადლობა ღმერთს გაქრა. „რუსეთში, განაგრძო მან, აღმობრწყინდა მზე თავისუფლებისა, რომელმაც თავისი სხივები სპარსეთშიც გადმოისროლა; ამხანაგო სპარსელნო, ეხლა ჩვენ თქვენთან ვართ, წინეთ თუ ძველი, უკვე განადგურებული მთავრობის ჯარი აქრობდა სპარსეთის რევოლიუციას, ეხლა ჩვენ რევოლიუციონური ჯარი რევოლიუციონური რუსეთისა მზადა ვართ აქტიურათ დაგეხმაროთ და მით გავასწოროთ ჩვენი დანაშაულობაო". სიტყვა სპარსულათ იქმნა ნათარგმნი, რამაც დაუსრულებელი ტაში და ურა გამოიწვია. ტრიბუნაზე ადის სართი-ორატორი. მისმა სიტყვამ ყველაში ქვითინი გამოიწვია. „ძმებო, განაგრძო მან, რუსეთის რევოლიუციონურმა ჯარმა გასწორა დღევანდელი ამბით თავისი წარსული შეცდომა, ის მუდამ ჩვენთან იქნება და ჩვენი ხმაც მძლავრია სანამ ისინი ჩვენთან არიან, მაგრამ წავლენ თუ არა აი ეს ვაჟბატონები (მიუთითა იქვე მდგომ სპარსელ გუბერნატორებზე) პირველათ დამიტაკებია და აი ამ ადგილას სადაც ჩვენი ძმები საშინელი წამებით მოკლეს და რომელიც დღეს ყვავილებით შეამკიან, აი იმ ადგილას დამახრჩობენ მეც. მაგრამ მე არ შევდრკები, მირჩევნია მათთან წავიდე, მოვკვდე თავისუფლებისათვის, ვიდრე ამ ტირანების ხელში ვიყო. სახრჩობელას მოგონებაზე ყველამ ტირილი დაიწყო. გახურებული ლურსმნით ფეხების დაჭედით უწამებიათ აქ რევოლიუციონერები, მათ შორის ერთი ქართველიც. ხალხი დამშვიდდა.

შემდეგ ის დაიძრა სასაფლაოსაკენ, გზაზე ტევა არ იყო, თავრიზის ვიწრო ქუჩამ ხალხი ვერ დაიტია. მრავალი ქალი და კაცი ქუჩის გასწვრივ სახურავებზე ასულიყვნენ და იქიდან უყურებდენ არაჩვეულებრივ სანახაობას. დავუხლოვდით სპარსეთის რევოლიუციის გმირის სათარხანის სახლს; კალმით აუწერელია ის გრძნობა, რომელიც ხალხის სახეზე გამოიხატებოდა. დაახლოვებით ასი ათასი ქალი და კაცი ქუჩაში. სახლის სახურავებზე თუ ამართულ კედლებზე იყვნენ თავმოყრილი.

სათარხანის სახლზე ფრიალებდა ორი წითელი დროშა. წარმოითქვა სიტყვები სპარსულათ და რუსულად, მოიგონეს სათარხანის გმირო-

---

*) მოხსენება ცალკე დაიბეჭდება.

ბა. . ორკესტრმა დაუკრა „მარსელიოზა“ და განაგრძო გზა. შეჩერებული ზღვა ხალხისაც დაიძრა. საზეიმოდიდან გამოიტანეს რამოდენიმე ათასი ფურცლები, რომელსაც სპარსელები სიხარულით არიგებდენ ჯარში და ხალხში. ფურცლები დაბეჭდა რუსულ-სპარსულ ენაზე აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით. დაუახლოვდით მინდორს, რომლის მახლობლად სპარსთა სასაფლაო იყო. ორასი ათასი სპარსელი ქალი და კაცი იქნებოდა! სასიხარულო იყო, რომ ჩადრებში გახვეული ქალებიც სიხარულით გამორბოდენ იქეთკენ, სადაც გაისმოდა ხმა თავისუფლებისა; ამ დღეს ის ვერ დააკავა რკინის ჩვეულებამაც. ტრიბუნაზე ადის პრაპორშჩიკი ლაზარიანცი, რომელიც ს. რ—ბის სახელით ესალმება სპარსელთ, მოუწოდებს ფეოდალური ბორკილების დამსხვრევას და მიწის განსაზოგადოებას. შემდეგ ლაპარაკობს სალდათი ქუვარიოვი, რომელიც აღნიშნავს რუსის ძველი მთავრობის სისაძაგლეს; თუ როგორ გამოდიოდა ის მთელი ევროპის თავისუფლების ჯალათად, როგორის საშინელის წესებით ჩააქრო სპარსეთის რევოლიუცია; სდებს ფიცს, რომ რუსის რევოლიუციონერი სალდათი ამის შემდეგ აღარ იზამს ამას. სიტყვები ითარგმნება სპარსულ ენაზე, რაც დაუსრულებელ ტაშს და „ვაშას“ იწვევს. ლაპარაკობენ სპარსელი ორატორებიც. პროცესია დაიძრა სომეხთა ეკლესიისაკენ, სადაც ცამეტი სომეხი რევოლიუციონერი განისვენებს. აქ დაგვიხვდა ათასზე მეტი სომეხი ქალი და კაცი; მრავალი იყო სომხის ინტელიგენცია. მოიარეს გმირთა სასაფლაო. სომხის ინტელიგენციამ სომხურად იმღერა: „მსხვერპლათ დაეცით. .“ ტრიბუნაზე ადის ამხანაგი ლამბაროვი, რომელიც კვლავ ესალმება სპარსელთ და სომეხთ. მის შემდეგ ადის ამხანაგი რაფიელ ჩხაიძე, რომელიც ლაპარაკობს ს. დ—ბის სახელით. აღნიშნავს საერთაშორისო მნიშვნელობას რუსეთის რევოლიუციისას, შეეხო მის გავლენას სპარსეთის მოძრაობაზე, შეეხო ს. დ. პარტიას როგორც ძმობის და სიყვარულის მქადაგებელს ყველა ერის დაჩაგრულთა შორის; თუ როგორ აერთებს ის მთელი ქვეყნის პროლეტარიატს; რა როლი იკისრა კავკასიის ს. დ. სპარსეთის რევოლიუციაში და ბოლოს დაათავა: „ამხანაგო სპარსელნო, გახსოვდეთ, რომ რუსეთის რევოლიუციონერი ჯარის ასი ათასი ხიშტი მიმართულია თქვენი თავისუფლების მტრების წინააღმდეგ“ ამ სიტყვამ შემდეგ თარგმანისა დაუსრულებელი ტაში გამოიწვია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როდესაც სალდათმა ვინტოვკით ხელში შეჰფიცა, რომ რუსის ჯარი სპარსეთის რევოლიუციას დაიცავს... შემდეგ ილაპარაკეს სპარსელმა ორატორებმა, რომელთაც განუსაზღვრელი მადლობა გადაიხადეს. ღამდებოდა; შეუძლებელი დარჩა ქართველ გმირთა სასაფლაოზე წასვლა, რაც აღნიშნულ იქნა. რაფიელ ჩხაიძის წინადადებით ბოლოს კრებას გამოაქვს პროტესტის რეზოლიუცია შესახებ ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენისა, რომელიც გადაწყდა გაგზავნილ იქნას რუსეთის რევოლიუციონური ჯარის, სომხის საზოგადოების და სპარსელ რევოლიუციონურ დემოკრატიის სახელით სტოკჰოლმში სოციალისტებს, პეტროგრადის მ. და ჯ. საბჭოს საშუალებით. შემდეგ ითქვა მრავალი გამოსასალმებელი სიტყვები. მრავალჯერ სიტყვები „გაუმარჯოს სპარსეთ-რუსეთის ხალხის ძმობა“—იწვევდა დაუსრულებელ „ურას“ ძახილს. ხალხი დაიშალა. ჯარი რევოლიუციონური სიმღერით თავიანთ ბინისაკენ გაეშურა. ამ გვარათ ჩაეყარა მტკიცე საძირკველი რუსეთ-სპარსეთის ხალხთა ძმობას.

რ. აცანელი.

ალექსანდრეს ბაღში.

გუშინ ალექსანდრეს ბაღში მიტინგი არ ყოფილა. იყო ჯარისკაცების და სხვა მოქალაქეების ჯგუფური ლაპარაკი. ერთ ჯგუფში აფიცერი გაცხარებით ამტკიცებს თავდასხმის აუცილებლობას გერმანელებზე ამ ქამათ და ამბობს: გერმანიაში პროლეტარიატი არ მოიძებნება, იქ ყველანი ბურჟუები არიან, ყველას აურაცხელი ფული აქვს იქ და სხ. ჯარისკაცებს პირზე ღიმილს შეამჩნევ. და ერთი იმათგანი ამბობს: განა შეიძლება ისეთი ქვეყანა, სადაც მუშა ხალხი არ იყოს და ყველა მდიდარი იყოს?

მეორე ალაგას დაძმობილებაზეა ლაპარაკი. დიდ მნიშვნელობას აძლევენ მას. ეს ალბათ, „ბოლშევიკი“ ჯარისკაცი ლაპარაკობს.

დაძმობილების იდეა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ისე მისი გატარება, როგორც გვირჩევენ, ზარალს მეტს მოიტანს, ვინემ სარგებლობას. ეს იმას ემგავსება, რომ ეზოში ადამიანმა ნაფოტი შეიტანოს, ეზოდან კი—ნამორი გაიტანოს ანუ როგორც რუსები იტყვიან: во дворъ щепка, со двора полѣно.

საინტერესო ლაპარაკია მესამე ალაგას. აქ თავი მოუყრიათ ქართველ მუშებს თუ გლეხებს, ჯარისკაცებს, ერთი აფიცერიც არის და ერთიც ინტელიგენტი. არიან სომხებიც. ლაპარაკობენ ქართულად საქართველოს ავტონომიის შესახებ.

— ეს სადაო საკითხი არ არის, ჩემო ძმაო,—ამბობს ჯარისკაცი. ჩვენ ტრაქტატის ძალით, პრაღის კონფერენციის დადგენილებით გვექნება ავტონომია.

— ჩვენ რაღა ვქნათ, სად წავიდეთ? კითხვას იძლევიან სომხები.

— ავტონომია ისეთ წყობილებას ნიშნავს, ამბობს ერთი მუშა, სადაც ერთი ერისაგან მეორეს დაჩაგვრას ადგილი არ ექნება. თქვენც იცხოვრებთ და ჩვენც.

— მე ჩემი „უბეჟდენიით“ (რწმენა) ვფიქრობ, ამბობს ერთი სომეხი, რომ გამოყოფა კარგი არ არის. მეორეც დასძენს, რომ „ოტდელნათ“ (ცალკე) ცხოვრება რაღაც არც მას მოსწონს.

მცირე კამათის შემდეგ მათ შორის ასეთი შეთანხმება მოხდა:

— დეე, ქნას ისე, როგორც ქართველი ხალხის უმეტესობა გადასწყვეტს!

მაგრამ ინციდენტით მაინც არ გათავდა ეს მ საქმე. ერთმა ჯარის-კაცმა, აღარ მახსოვს რა ამბავს მოაყოლა, სთქვა: კარლო ჩხეიძე—ცოცხალიც არ დაბრუნებულა იქიდანო, რამაც ერთი მუშა მეტად აალელვა.

— აბა, რა თქვი ეს შენ, ძმობილო! ეკითხება ჯარის-კაცს მუშა.

— მე შენ არ გელაპარაკები, თავი დამანებე—მიუგებს ის.

— როგორ თუ თავი დაგანებო! ჩხეიძის შეურაცყოფა იგივე ჩემი შეურაცყოფაა. აბა რა თქვი ახლა შენ? ეკითხება დაჟინებით.

ცოტა ხნის შემდეგ ჯარის-კაცი მოყვა:

— აბა, რა სარგებლობა მოუტანა თქვენმა კარლო ჩხეიძემ ქართველ ხალხს? ამას წინეთ ადესაში ვიყავი—ვერ წარმოიდგენ როგორ პატივსა სცემენ მას ურიები—„ჟიდები“. თვალში რომ ჩაუარდეთ წარბსაც არ შეიხრიან. და ჩხეიძეც მათ ინტერესებს იცავს; აბა, ადესაში რამდენი ქართველი ცხოვრობს და მათგან ჩხეიძის შესახებ ერთი სახეირო არ გამიგონია რა.

— ეს არ არის მართალი,—უპასუხებს მუშა! ჩხეიძემ, ძმაო, ქართველ ხალხსაც მოუტანა სარგებლობა, რუსსაც და ებრაელსაც. ცოდოა ჩხეიძეზე იმის თქმა, რასაც შენ ამბობ: მიუხედავათ ამისა, ჯარის-კაცი მაინც თავის აზრისა დარჩა, თუმცა არა უთქვამს რა საპასუხოთ.

ისმენ ყველა ამ ჯგუფურ მუსაიფს და თავის თავს ეკითხები: ნუ თუ ასე პირველყოფილ მდგომარეობაში დარჩება ალექსანდრეს ბაღში საქმე? სიხარულით ვეგებებით მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებას აქ კლუბის დაარსების შესახებ. დავეხმაროთ ვისაც რით შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ საქმის ახლო მომავალში განხორციელებას.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

შემოქმედის რაიონი.

15 მაისს, მოხდა შემოქმედის რაიონის კოლექტივის დამფუძნებელი კრება. განსახილველი იყო შემდეგში საკითხები: პრეზიდიუმის არჩევნები, ორგანიზაციის გაფართოება, შენობის და საწევრო კვიტანციის შეძენა და სხვ ბი. პრეზიდიუმში აირჩიეს 5 კაცი: ანდრო შილაკაძე (თავმჯდომარეთ), მის თანაშემწეთ სპ. ჭანუყვაძე, მდივნათ ამხ. ჩხატარაიშვილი, მის თანაშემწეთ ამხ. ი. მამულაიშვილი და სარაიონო ხაზინადარათ ამხ. ილარიონ ელიაძე. კოლექტივმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ორგანიზაციის გაფართოებისათვის საჭიროა მიღებულ იქნას პარტიაში ის პირები, რომლებიც პოლიტიკურათ საიმედონი არიან და ზნეობრივათ სპეტაკნი და რომელიც სავსებით დაეთანხმება ჩვენს პროგრამას და ტაქტიკას. 3 და 4 ივნისს კრების უმთავრეს მიზანს შეადგენდა დელეგატების არჩევა ამიერ კავკასიის ს. დ. კონფერენციაზე. კრებამ იქონია მსჯელობა უმთავრესათ სამი საკითხის შესახებ: მიმდინარე მომენტი და ჩვენი ტაქტიკა, აგრარული და ეროვნული საკითხები. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: არსებულ რუსეთის რევოლიუციის საფეხურში უდგას დროებითი მთავრობა და კოალიციური მთავრობა, რომელშიდაც შედიან აგრეთვე 5 სოციალისტები. დროებითი მთავრობას ჩვენ მხარს უჭერთ მანამდის, სანამდის ისინი მუშათა და ჯარისკაცთა დირექტივების გამომხატველნი იქნებიან. აგრარულ საკითხის შესახებ: საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო და მრავალ მემამულეთა მიწის მუნიციპალიზაცია. ეროვნული საკითხის შესახებ: „კავკასიაში ეროვნულ საკითხის გადაჭრის საუკეთესო ფორმათ სცნობენ—ტერიტორიალურ და ნაციონალურ საქმეთა გაერთიანებას ერთ ერიან დემოკრატიულ თვითმართველობაში, სხვადასხვა ერიან ერთეულებში კი ეროვნულ-კულტურულ საქმეთა გამოყოფას მცირე რიცხოვან ერთა ინტერესების დასაცავათ. ომი და ზავის შესახებ. უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ინტერნაციონალის საშუალებით. ამის შემდეგ დაფარული კენჭის ყრით ამიერ კავკასიის ს.-დ. კონფერენციაზე არჩეულ იქნა დელეგატათ ანდრო შილაკაძე. გურიის კომიტეტის რეზოლიუციების მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. მამულაიშვილი, ის კრებას აცნობს გურიის კომიტ. იმ რეზოლიუციებს, რომელიც პირველათ იქნა თავისუფლათ მოწვეულ 2 და 3 ივნისს ქ ოზურგეთში, შემდეგ კრება ადასტურებს გომისა და შემოქმედის მიერ წარმოდგენილ ახალ წევრთა სიებს. საწევრო გადასახადის შესახებ კრებამ გადასწყვიტა შემოქმედის რაიონის ყველა იაჩეიკებმა წრის ფული გადაიხადონ 1 თებერვლიდან 1917 წ. ე. ი. ახალი წევრები იხდიან საწევრო ფულს პირველ მაისიდან. „პოლიტიკური იავკის“ გაცემის შესახებ კრება დიდხანს მსჯელობს, რამოდენიმე ამბობს, მიეცეს ყველა პარტიის წევრს მოწმობა, რომ ის რ. ს.-დ. შემოქ. რაიონის პარტიის წევრია. ზოგიერთების აზრით ეს ყოვლად შეუძლებელია, ძველს და ახალს წევრს შორის განსხვავება უნდა დარჩეს, და აღნიშნული უნდა იყოს, როგორ მონაწილეობას ღებულობდა ის რეაქციის დროს (თუ ძველი პარტიის წევრია) აქტიურს თუ პასიურს—ხოლო თუ ახალი პარტიის წევრია, როგორ მონაწილეობას ღებულობს—პასიურს თუ აქტიურს. დიდი კამათის შემდეგ გადაწყდა მიეცეს მსურველებს მოწმობა, რომ ის ძველი პარტიის წევრია და აქტიურ ან პასიურ მონაწილეობას ღებულობდა ან პარტიის ახალი წევრია, აქტიური მომქმედი ან პასიური. კრება ავალებს დელეგატ ა. შ. შეიძინოს თფილისში 100 მანეთის ბროშურები და წიგნები.

წითელმთიელი.

სოფ. ჯვარცხმა (გურია).

4 ივნისს შესდგა ჯვარცხმა გურიის რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება. კრებას დაესწრო 40 დე წევრი. დღიურ წესრიგში იყო: ახალ წევრთა მიღება; კოლექტივის არჩევა; ჯვარც. რაიონის აღდგენა; სარაიონო კომისარის, მწერლის და კომიტეტის არჩევა. გამოირკვა, რომ აქამდე მიღებული ყოფილა 51 წევრი; ამ დღეს მიიღეს 18 წევრი. უნდა ისევ აღდგენილ იქნას ჯვარცხმის რაიონი.

ივ. ქოროშაშპირელი.

სოფ. ჩოჩხათი (გურია).

4 ივნისს აქ შესდგა სუფსის რაიონის რ. ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვ. გუჯაბიძე, მდივნათ სპ. ქლენტი. მოხდა არჩევნები: რაიონულ კოლექტივისა, გურიის კომიტეტის წევრებისა და რ. ს. დ. მ. პარტიის ამიერ კავკასიის ყრილობის დელეგატებისა; აღდგენილ კოლექტივის წევრებათ აირჩიეს: ბ. კვაჭაძე, ბ. მითაიშვილი, ვ. ავქსენტაძე, ს. ჭიკვაიძე, ნ. ანდღულაძე, გ. კომახიძე, ა. ცეცხლაძე, მ. ჯიჯეიშვილი, გ. გძელიძე, ნ. ანთაძე, მ. პოლიშინი, ს. ლომაძე, ყ. ტულუში, ე ტულუში, ლ. ჩხაიძე. გურიის კომიტეტის წევრებათ: ბ. გურგენიძის ასული, ვ. გუჯაბიძე, ყ. ტულუში; ამიერ კავკასიის ყრილობის დელეგატებათ: ბ. გურგენიძის ასული და ვ. გუჯაბიძე. ამავე დღეს გამოცხადდა მთელი რიგი ჯაშუშებისა, რომელთა გასამართლება მიენდო სუფსის რაიონულ კოლექტივს და კომიტეტს.

ხორეთელი.

ერზერუმი.

სოც.-დემ. პარტიამ გახსნა კლუბი სამკითხველოთი, სამკითხველოში ყოველ დღიურათ მოდის პარტიული ჟურნალ-გაზეთები. კლუბის გახსნას ადგილობრივი ჯარის-კაცები დიდი სიმპატიით შეხვდენ, მოსიარულე ხალხის რიცხვი დღითი-დღე მატულობს, იქვე ბევრნი ეწერებიან პარტიის წევრებათ, იძენენ პროგრამებს და ბროშიურებს. კლუბთან ჯერჯერობით არსებობს ორი წრე: შრომის კომისია და პროპაგანდისტთა კოლეგია. პროპაგანდისტთა კოლეგია მუშაობას უკვე შეუდგა, მოაწყო ლექციების კითხვა, როგორც ქალაქის უბნებში ისე ჯართა სხვა და სხვა ნაწილებში წაკითხულ იქნა: „დამფუძნებელი კრება“ და „დემოკრატიული რესპუბლიკა“. ლექციებს ჯარისკაცებზე ძლიერი გავლენა აქვს, კლუბში ხშირათ მოდიან ფრონტის ჯართან კომიტეტების წარმომადგენლები, თხოულობენ ლექტორს ამა თუ იმ კითხვის გამოსარკვევათ აგრეთვე წერილობითაც. მაგალითისთვის მომყავს ერთი-ერთ ყაზახთა აფიცრის წერილობითი მიმართვა ჩვენი პარტიისადმი. „წავიკითხე თქვენი პროგრამა და არ შემიძლია ჩავთვალოთ თქვენ ქვეყნის შინაურ მტრებათ, რაიც მასწავლეს სამხედრო სკოლებში, სასწავლებელში, და ვინაიდან დღეს ჩვენ ბატალიონში ყველას ენაზე აკერია სოციალ-დემოკრატიული პარტია და რესპუბლიკა, გთხოვთ მომცეთ საშუალება ლიტერატურით გავეცნო თქვენ იდეას და მით ჩემი ძველი რეჟიმისაგან გამოლაყებული თავი განვავითარო. მოველით თქვენს პასუხს მთელი ბატალიონი. კავკასიის სოც. დემოკ. ორგანიზაციების სიაზე დელეგატებათ არჩეული არიან ამხ. ტეხნიკი არსენ წულაძე და სალდათი კუკულაიშვილი.

ვლ. ლაშისპირელი.

მუშათა ცხოვრება.

ტრაპიზუნდის რკინის გზა. იანვრიდან აღდგომამდი აქ 200-მდი მუშა იყო, მუშების უმრავლესობა ხუმა-იმერლებია, ქირა საერთოთ 2-დან 3 მანეთამდეა, სამუშაო დრო გარდა გამონაკლისი, 8 საათია, ბინები შედარებით არა უშავს, მაგრამ აქ პური 3 ვაძ—იელ ცვდია, და შორიდან ჩამოტანილი მუშები ვერ იტანენ და ხშირათ ხდებიან ავათ, ნამეტნავათ ზამთარში. ამ ავათმყოფობას ძალიან ხელს უწყობდა სურსათ სანოვაგის უქონლობა, აქ არ იშოვება გარდა ყოველთ უგრეცის შავი პური და ჩაისა, არის ლობიო, ბრინჯი, მაგრამ გამკეთებელი არავინაა, და რა გასაკვირია ამ პირობებში მყოფი მუშები შიშით სახლში გარბოდნენ, რადგან აქ არავითარი საექიმო დახმარება და წამლობა არ ქონდათ, გარდა კერძო ფერშლისა და ისიც ამ ბოლო ხანებში. იყო საავათმყოფო, მაგრამ შორს და ისიც მძიმე ავათმყოფისთვის მიუდგომელი, ზ. კ. ჩხეიძე კი გვპირდებოდა, იქ ყველაფერი მზათ არის, სამშენის დუქანი, ექიმი, წამლობა და სხვა, ფულის დარიგება ყოველ 15-ში იყო ნათქვამი, მაგრამ თვეც გადიოდა და ფული კიდევ არ იყო, მაგრამ ზ. ჩხეიძეს დაპირებები უფრო ეხერხება ვიდრე შესრულება. ანგარიშებიც ვერ იყო სასურველათ დაყენებული, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში და ამ უკმაყოფილებას ხელს უწყობდა ზ. იოსებ მელია, (კ. ჩხეიძის ამხანაგია), სიტყვით თუ საქმით, ეს ვაჟბატონი იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი წაადლიჯოს მუშას. ის სარგებლობს თათრების მეუგნებლობით და როგორც უნდა ისე თლის მათ.

გუბის პირელი

თფილისის სადგურის მეზარგეები. აქ მუშაობს 150-მდე კაცი, მათ შორის 50 მდე არიან დროებით მომუშავენიც. ეს დროებითი მომუშავენი იხდიან თვიურათ 20 მანეთს ომში წასულების სასარგებლოთ; ყველა დარგის მუშებმა გამოიღვიძეს, მოაწყვეს ორგანიზაციები, აქაური მუშები კი, სამარის ძილს მისცემიან, არ არის მათში არავითარი სოლიდარული მუშაობა და არც რაიმე კავშირი. ამას წინათ აირჩია არტელმა მომწესრიგებელი კომისია, რომელსაც ევალება მოეწყოს პარტიული ორგანიზაცია, მხოლოდ კომისიაში ისეთები არიან, რომელთაც არ აინტერესებთ საერთო საქმე დ. დოლიძეს და ა. გაგუაშვილს უნდოდათ შეეკრიბათ სადგურში არტელი და მოეწყოთ ორგანიზაცია, მაგრამ რამდენიმე პირების მეოხებით საქმე ჩაიშალა, საჭიროა მოწინავეებმა გაგვიწიონ დახმარება.

დ. დოლიძე.

გაზეთის სასარგებლოთ.

მეორე კავკასიის კორპუსის რადიოტელეგრაფის განყოფილების ნაწილებმა შევაგროვეთ ჩვენ შორის 22 აპრილს „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ 26 მან. და 91 კ.

მონდობილობით **ხ. ანთაძე.**

გაზეთების ფონდის გასაძლიერებლათ შევკრიბეთ ჩვენ ქართ. ჯარისკაცებმა ქალ. ურმიაში (სპარსეთი). გთხოვთ ფული განაწილოთ ასე: „ერთობას“ 46—50 კ. „Барьба“-ს 46—50 კ. „ფაიქარს“ 46—50 კ. სულ 139 მან. 50 კაპ.

ჩვენ კავკასიის მე-16 ტე საინჟინერო სამშენებლო დრუჟინის ჯარისკაცები გიგზავნით თქვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ ჩვენს წვლილს 20 მან.

ამხ. მონდობილობით **პრაპ. დ. პაიჭაძე.**

ქ. ხამადანის გარნიზონის (სპარსეთი) ვილებთ ჩვენს წვლილს აქაური ქართველ თანამგრძნობებში შეგროვილს 9 მან. 55 კაპ. ჩვენი დამცველი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ. ამხანაგების მონდობილობით:

გ. ხუნდაძე, პ. პეტრიაშვილი.

თქვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ გიგზავნით 11 მან. და 50 კ.

ლუკა ფოფიკაშვილი.

1-ლი პარკის, მეორე კავკასიის განკერძოებული სამთო საარტილერიო დივიზიონში გარდაიცვალა ქართველი ჯარისკაცი აკაკი მხეიძე. შევაგროვეთ თანხა და განსვენებულ აკაკის სამახსოვროთ რკინის ძეგლი გაუკეთეთ. გადარჩენილი თანხა, რომელიც შესდგება 16 მან. გიგზავნით „ერთობის“ ფონდისათვის ნიშნათ განსვენებული ამხ. აკაკის სახსოვრათ.

ამხ. მონდობილობით **ივანე ადეიშვილი.**

გიგზავნით 48 მან. [illegible] გაზეთ „ერთობას“ 19 მან. პეტროგრადში რევოლიუციის გმირთა ოჯახების სასარგებლოთ. 10 მან. გაზეთი გაუწერეთ ჯარისკაცებს.

ქუთაისის მსურველი **ვლადიმერ ივანაშვილი.**

მივიღეთ დავით კიასაშვილისაგან 7 მან. მეცხრე კავკასიის მუშათა ბატალიონში შეგროვილი.

გიგზავნით 22 აპრილს შეგროვილ პრესის სასარგებლოთ 56 მ. 40 კ. და გთხოვთ გაანაწილოთ ასე: „ერთობის“ რედაქციას 40 მან. და 40 კ. „ფაიქარის“ 10 მან. და „ალიონის“ 6 მანეთი.

ამხ. მონდობილობით **ჯამულეთი ჩხაიძე.**

პარტიულ სტამბის ფონდი.

ქ. კარაკილისა (ოსმალეთი). ჩვენ აქ მყოფი ამხანაგებ-თანამოაზრენი, გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ 87 მ. პარტიულ სტამბის სასარგებლოთ.

ამხ. მონ. **იაგორ კალან. და ამბროსი ხოფერი.**

ჩვენ ახალ-სენაკის რკინის გზის რემონტის მუშა მოსამსახურეები გიგზავნით 17 მ. 40 კ. „ერთობა“ წლის ბოლომდის გაუწეროთ ავსტრიის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს და ერთი გაზეთი „ერთობა“ გაუწეროთ 15 ივნისიდან წლის ბოლომდე კავკასიის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს და 20 მანეთს პარტიული სტამბის შესაძენათ.

ამხ. მონდ. **გიორგი ქანტურია და გიორგი კულუა.**

წერილები რედაქციის მიმართ.

სოფ. ჩანჩეთი (გურია). ეკ. ნინოშვილის სამკითხველოს შემოსწირეს სურათები და წიგნები ილ. ხაზირაძემ ღირებ. 32 მ., არ. რიჟამაშვილმა 20 მ. ღირ., მ. ხ. ჩიკვაშვილმა სურ. 25 მ. ღირ., მოსე გვარჯალაძემ 25 მ. ღირ., მოშიაშვილმა სურ. 20 მან. ღირ., ისიდორე კვიცარიძემ შემოსწირა წიგნები ღირებული 12 მ., ვლასუნ მარგალიტაძემ შემოსწირა 10 მ., სადგურ ნატანების ხე-ტყის საწყობ მუშებისაგან შემოვიდა 20 მ. 70 კ., სიმონ ტულუშმა შემოსწირა წიგნები ღირებული 20 მ., ფერშალმა ექვთიმე ორაგველიძემ შესწირა ფულათ 50 მ. და აღუთქვა გამგეობას, რომ ყოველ წელს ივლის ეგნატეს გარდაცვალების დღეს ჩანჩეთში და მიიღებს ავათმყოფებს. აღებულ ფულს შესწირავს მთლად სამკითხველოს. ყველა ზემოხსენებულთ გამგეობა მადლობას სწირავს.

ს. ტულუში.

მადლობას ვუცხადებთ შალვა გ. [illegible], რომელმაც თავის ნაცნობ-მეგობართა შორის შეაგროვა და გამოგვზავნა ქვედა ღვაბზუის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ ქ. ბათუმში 60 მანეთი.

სამკითხველოს გამგეთაგანი
კახინე ღლონტი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი ლევანი გიორგისძე ცხოვრებაშვილი მსახურობდა მესამე კავკასიის მუშათა ბატალიონში. მოიყვანეს ქ. თფილისში, ცენტრალურ წითელი ჯვრის ჰოსპიტალში რვა ივნისს და იმავე საღამოს გარდაიცვალა.

ჯარ. კ. დ. კეხაძე.

რედ.-გამომცემელი [illegible]

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახზე“

წლიური ფასი 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., 3 თვით 2 მ., თვეში 70 კ. ვისაც უნდა, რომ ჟურნალი პირველ იანვრიდან მიიღოს, მან ეხლავე უნდა გამოგზავნოს ფული შემდეგი მისამართით: თფილისი, ფოსტის ყუთი № 96, ს. თავართქილაძეს.

[illegible]

„განათლება“-ში

[illegible]

„ერთობა“, „აზრი“, „კავკ. რაბოჩი“, [illegible] და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.